სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „აკადემია“ - თელავის „ჭადარი“		
გუნდი	თბ „აკადემია“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	17/03/2024	მატჩის ადგილი	თბილისი „რაგბი პლატო“
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ბესიკ ჩინჩალაძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, მარიამ გოგუაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.6 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;		☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	19/03/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, მარიამ გოგუაძის საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, მარიამ გოგუაძის საითინგი;
2. მატჩის მსაჯის, მარიამ გოგუაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელი ბესიკ ჩინჩალაძის განცხადება :

ბესიკ ჩინჩალაძე დაეთანხმა მსაჯის საითინგში აღნიშნულ დისციპლინარულ დარღვევებს. კერძოდ :

- ✓ თამაშის დროს მან საჯაროდ გააპროტესტა მსაჯების კონკრეტული გადაწყვეტილება, შევიდა მოედანზე და ეკამათებოდა მსაჯებს;
- ✓ თბ „აკადემია“-ს მოთამაშე თორნიკე აფციაური, მსაჯმა ბილწსიტყვაობისთვის წითელი ბარათით გააძევა მოედნიდან;
- ✓ თამაშის დასრულების შემდეგ, თბ „აკადემია“-ს ერთერთი მოთამაშის მშობელი შევიდა მოედანზე და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მსაჯს;

ბესიკ ჩინჩალაძემ გულწრფელად მოინანია მომხდარი ფაქტი და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის, მარიამ გოგუაძის საითინგი (ციტირება) – „თამაშის ბოლო წუთებზე ჩემი დადებული ჯარიმით ატყდა ერთი ამბავი აკადემიის სტაფის მხრიდან რომ იყო პირიქითჯარიმა "ხელის ჩარტყმა" ჭადარის მხრიდან ბურთზე და აპელირებდნეენ რაზეც მოვუწოდე გაჩერებულიყვნეენ.აკადემიის მოთამაშეებმა როცა გაიგეს მწვრთნელების ეს რეაქცია აყვნენ მათ და ერთიანად მოვიდნეენ.დამიწყეს კამათი რაზეც 10 მეტრით გადავუწიე ჯარიმა .მაქამდე გაფრთხილებული მყავდა ზედმეტ საუბარზე იქნება 10 მეტრიანი თქო.შემდეგ ჭადარმა გაათამაშა და ლელო დადეს. შემოვარდა სტააფი უკმაყოფულებით ზუსტად იმ მომენტზე რასაც ყვიროდნეენ რომ ჩარტყმა იყო დაა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას საკმაოდ აგრესიულად დაა ეს ყველაფერი აფექტის მდგომარეობის გამო იყო. მოვუწოდე სტადიონის სასწრაფოდ დატოვება რადგან გარდასახვა უნდა შეესრულებინა ჭადარის მოთამაშეს დაა ამ დროს აკადემიის15 ნომერი თორნიკე აფციაური მოდის და მეკამათება მსაჯობაზე და დაიწყო ტლიკინი რის გამოც ყვითელი ბარათი ამოვიღე და შემდეგ წითელი მივეცი უზრდელური ტონის გამო"ყლ... მკიდია რას მომცემო". გარდასახვის მერე თამაში დასრულებულად გამოვაცხადე და ისევ იგივე მოხდა შემოვოდნეენ ეხლა მოთამაშეებიანად და სტაფი აკადემიის დააა გვედავებოდნენ ისევ იმ მომემტზე სამივე მსაჯს ,რომელიც არცერთს არც მე და არც თანამსაჯებს არ დაგვინახავს.შემდეგ შემოვიდა აკადემიის მოთამაშის მშობელი რომელმაც დედა შემაგინა "შენი დედა შევე..”მივედი ამ კაცთან და ვეუბნები ვის აგინებ დედას მეთქი კითხვის ტონით და აბა რა გგონია თამაშს რომ გვაგებინებო და გვჩაგრაავო აგრესიით და მაღალი ტონით მიპასუხა. ეს კაცი გაიყვანა აკადემიის სტაფმა და მოთამაშებმაც და შემდეგ სტაფთან მქონდა საუბარი მომხდარის შესახებ რომლებმაც ბოდიში მომიხადეს ამ მშობლის მაგივრად. ამ კაცის იდენტიფიცირებას თუ საჭირო იქნება აკადემიის მწვრთნელები მოგახსენებენ . ეს პიროვნება იყო ერთერთი მოთამაშის მშობელი.“

სადისციპლინო კომისიამ, სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის შემდეგ მსჯელობის დროს გაითვალისწინა თბ „აკადემია“-ს მწვრთნელის უარყოფითი სადისციპლინო ისტორია. ბესიკ

ჩინჩალაძე, სადისციპლინო კომისიის 15/11/2022 გადაწყვეტილებით 5(ხუთი) კვირით იყო დისვალიფიცირებული, მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების გამო, რამაც გამოწვია გუნდური ფიზიკური დაპირისპირება მოთამაშეთა შორის და გულშემატკივრების მხრიდან თამაშის მონაწილე პირთა მიმართ აგრსია და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სადისციპლინო კოისია მიიჩნევს, რომ სწორედ ბესიკ ჩინჩალაძის საქციელი გახდა საითინგში აღნიშნული მოთამაშის ბილწსიტყაობის და ერთერთი მოთამაშის მშობელის მხრიდან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის მაპროვოცირებელი.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისიამ დადგენილად ცნო თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მწვრთნელის, ბესიკ ჩინჩალაძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 პუნქტის (საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას) დარღვევა.

სადისციპლინო კომისიამ, დისციპლინარული დარღვევის ყველა შემამსუბუქებელი და დამაძიმებელი ფაქტორების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნულ დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობაზე დაყრდნობით მიიღო

გადაწყვეტილება

1. თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მწრთნელს ბესიკ ჩინჩალაძეს, 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით აეკრძალოს **სათამაშო სივრცეში**[*] ყოფნა., სრკ-ს მიერ ორგანიზებულ თამაშებზე თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მონაწილეობით.
2. თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის საშინაო თამაშებზე აიკრძალოს მაყურებელთა დაშვება **სათამაშო სივრცეში** 2024 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

- სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	20/03/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]